

შპს "თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი"

საქართველო. 0160 თბილისი. ს. ცინცაძის #24; რუსთავის გზატკეცილი #18-22,
ტელ. 237 88 66; ელ. ფოსტა tdasutdasu@yahoo.com; tdasu@inbox.ru

30 05 2017 წ.

ქ. თბილისი

რექტორის ბრძანება №01/ 02

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული კვლევების ცენტრის შესახებ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, იმავე კანონის 47-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის, შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტისა და 6.7 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება შპს თბილისის—დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურაში და დაემატოს სტრუქტურული ერთეული - შპს დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული კვლევების ცენტრი.
2. დამტკიცდეს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული კვლევების ცენტრის დებულება დანართის შესაბამისად.
3. ამ ბრძანების პირველი ნაწილით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულის დირექტორის პოზიციაზე დაინიშნოს ეკა ბესელია.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი

ანზორ შარაშენიძე

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული კვლევების ცენტრის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში როგორც - სასწავლო უნივერსიტეტი) იურიდიული კვლევების ცენტრი (შემდგომში როგორც - ცენტრი) წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულს და არ არის დამოუკიდებელი სუბიექტი.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით.
3. ცენტრი იქმნება/ფუნქციონირებს სასწავლო უნივერსიტეტის ქონების ბაზაზე. ცენტრის მუშაობით მოზიდული ფინანსური სახსრები წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებას, რაც განკარგულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ცენტრს შეიძლება ქონდეს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ბეჭედი, შტამპი და სატიტულო ფურცელი.

მუხლი 2. ცენტრის ძირითადი მიზნები და საქმიანობის სფერო

1. ცენტრის ძირითადი მიზანია:
 - ა) ინოვაციური კვლევები სამართლის დარგში;
 - ბ) სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;
 - გ) მეცნიერების პოპულარიზაცია.
2. ცენტრის საქმიანობის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული კანონით და უნდა გამომდინარეობდეს ცენტრის ძირითადი მიზნებიდან.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და პერსონალი

1. ცენტრის სტრუქტურა ყალიბდება ცენტრის საქმიანობის აუცილებელი და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, რომელსაც ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
2. ცენტრში შეიძლება შეიქმნას სათათბირო/საკონსულტაციო ორგანო - ცენტრის საბჭო.
3. ცენტრის პერსონალი და შესაბამისი შრომის საზღაური / კომპეტენციის განხორციელების დავალების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ცენტრის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ამ დებულებითა და შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას.
5. ცენტრის იმ პერსონალთან, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მისთვის გადაცემული ქონებისა და ფასეულობის შენახვასთან, დამუშავებასთან, ან სამუშაო პროცესში გამოყენებასთან იდება წერილობითი შეთანხმება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 4. ცენტრის დირექტორი

1. ცენტრს ხელმძღვანელობს მისი დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
2. ცენტრის დირექტორის პოზიციაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, აგრეთვე პედაგოგიური-სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობის გამოცდილება.
3. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
4. ცენტრის დირექტორი უზრუნველყოფს:
 - ა) სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ცენტრის ფუნქციონირებისათვის გადაცემული ქონების მართვასა და დაცვას;
 - ბ) ცენტრის საქმიანობის ხელმძღვანელობას;
 - გ) ცენტრის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს;
 - დ) ცენტრის საორგანიზაციო საქმიანობის დაგეგმვას და წარმართვას;
 - ე) ცენტრის შინაგანაწესის შემუშავებას და დასამტკიცებლად წარდგენას;
 - ვ) ცენტრის პერსონალის საქმიანობისა და პროფესიული დონის მუდმივი ამაღლების პირობების შექმნას;
 - ზ) სხვა საქმიანობის განხორციელებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება ცენტრის მიზნებს.
5. ცენტრის დირექტორს შეიძლება მიენიჭოს სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მისი რექტორის განკარგულებითი დოკუმენტის ან მინდობილობის ფარგლებში.

მუხლი 5. ცენტრის შემოსავლები და ქონება

1. ცენტრის შემოსავლებს, რომლებიც სასწავლო უნივერსიტეტის შემოსავლებად განიხილება, წარმოადგენს ცენტრის მიმდინარე საქმიანობით მიღებული შემოსავლები, სხვა წყაროები, რომელიც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით.
2. ამ დებულებით განსაზღვრული ძირითადი მიზნების განსახორციელებლად ცენტრს დადგენილი წესით გადაეცემა ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, სარგებლობის უფლებით.
3. ცენტრის ქონება წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებას და ცენტრს იგი გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით.
4. ცენტრის ქონებასა და შემოსავლებთან დაკავშირებული საკითხები ცენტრსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 6. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა

1. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია: რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია.
2. ცენტრის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

ცენტრის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა ხდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი აქტით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.